

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 18.05.2005, მუხ. 151) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის 3¹ პუნქტის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლისათვის სხვა სახელმწიფოში უძრავი ნივთის შექენაზე ან სარგებლობის უფლების მიღებასთან დაკავშირებულ შესყიდვაზე, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;“;

ბ) „დ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ¹) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლისათვის სხვა სახელმწიფოში უძრავი ნივთის შექენაზე ან სარგებლობის უფლების მიღებასთან დაკავშირებულ შესყიდვაზე, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა ამ კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;“.

გ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, ან/და ქ. თბილისის მერის შეხვედრებისა და ვიზიტების, საქართველოს პარლამენტში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს პარლამენტის დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე;“.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ე) უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები – იდენტური, ასევე არაიდენტური, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მახვენებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე შესყიდვის ობიექტები;“;

გ) „ჟ“, „რ“ და „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) ელექტრონული ტენდერი – 200 000 ლარის ღირებულების და ზევით შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ პროცედურებს;

რ) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი – 200 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ პროცედურებს. გამარტივებული ელექტრონული ტენდერით განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვის ვადა არის არანაკლებ 3 დღისა;

ს) გამარტივებული შესყიდვა – ამ კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, ან 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ობიექტის (უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ განხორციელებულ შესყიდვასთან, ასევე თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების შემთხვევაში – 10 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ობიექტის) სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების გარეშე (გარდა 10¹ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების დადება სავალდებულოა). გამარტივებული შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ანდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის ან ელექტრონული ტენდერისათვის გათვალისწინებული პროცედურებით;“;

დ) „უ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

ე) „ფ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ ქვეპუნქტი:

„ე) წარმომადგენლობითი ხარჯები – საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი ხარჯები.“.

3. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაუშვებელია, შესყიდვაში მონაწილეობა მიიღონ იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამავე შესყიდვის მოსამზადებელ სამუშაოებში. ინტერესთა კონფლიქტად არ ჩაითვლება იმ პიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესყიდვაში მონაწილეობა, რომლებიც პრეტენდენტების სახით მონაწილეობდნენ ამ შესყიდვასთან დაკავშირებულ საპროექტო მომსახურების შესყიდვაში.“.

4. მე-9 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ იგი ფინანსდება ერთი წყაროდან. დაუშვებელია შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით, რომლებიც დადგენილია ამ კანონით.ბ) მე-4

და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაფინანსების წყაროების მიხედვით შედგენილ შესყიდვების წლიურ გეგმას ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და წარუდგენს სააგენტოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა, გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ზ“ და „ა.თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვების განმახორციელებელი პირებისა, რომლებიც შესყიდვების წლიურ გეგმას, შედგენილს დაფინანსების წყაროების მიხედვით, სააგენტოს წარუდგენენ არა უგვიანეს 20 თებერვლისა.“

5. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია, იქმნება (ფუძნდება) ან იღებს დამატებითი დაფინანსების წყაროს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ და „ა.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახსრებით, დაფინანსების წყაროების მიხედვით შედგენილ შესყიდვების წლიურ გეგმას სააგენტოს წარუდგენს შექმნის (დაფუძნების) ან ამ დამატებითი დაფინანსების მიღების თვის მომდევნო თვის არა უგვიანეს 20 რიცხვისა.“;

გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹ შესყიდვის წლიური გეგმის შედგენა და დამტკიცება ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაფინანსების წყაროების მიხედვით.“;

დ) მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ¹) დაფინანსების წყარო;“;

ე) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.“.

5. მე-10 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტს „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები:

„ზ) ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;

თ) სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით;

ი) საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვა ალტერნატიული მიმწოდებლისგან აუცილებელია შესაბამისი საინფორმაციო სისტემის მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის.“;

ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნას.

6. 10¹ მუხლის

ა) მე-3 პუნქტს „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები:

„ვ) ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;

ზ) შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი

გადასახდელების გადახდის გზით;

თ) საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვა ალტერნატიული მიმწოდებლისგან აუცილებელია შესაბამისი საინფორმაციო სისტემის მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის.“.

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. 200 000 ლარამდე ღირებულების საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვისას, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ელექტრონული ტენდერისათვის დადგენილი პროცედურები.

გ) მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნას.“.

7. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის:

ა) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შესყიდვის ობიექტის, გარდა საპროექტო მომსახურების შესყიდვისა, სავარაუდო ღირებულება (ლოტების შესაბამისად, არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ღირებულება თავისი სპეციფიკის გამო დამოკიდებულია საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასებზე, შესაძლებელია შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების დადგენისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ გაითვალისწინოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული მომენტისათვის კონკრეტულ საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებული მაჩვენებელი. ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების დასადგენად გამოიყენება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესი, ასეთი არსებობის შემთხვევაში;

გ) შესასყიდი საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის სასურველი ან სავალდებულო ვადები, ადგილი და ფორმა. შესასყიდი საქონლის სახეობა, რაოდენობა, ხარისხი, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების სახეობა, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომელთა მითითებას შემსყიდველი ორგანიზაცია საჭიროდ მიიჩნევს შესყიდვის ობიექტის აღწერის მიზნით;“;

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

8. 12¹ მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შესყიდვის ობიექტის, გარდა საპროექტო მომსახურების შესყიდვისა, სავარაუდო ღირებულება. იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ღირებულება თავისი სპეციფიკის გამო დამოკიდებულია საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასებზე, შესაძლებელია შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების დადგენისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ გაითვალისწინოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული მომენტისათვის კონკრეტულ საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებული მაჩვენებელი. ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების დასადგენად გამოიყენება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესი, ასეთი არსებობის შემთხვევაში;

გ) შესასყიდი საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის სასურველი ან სავალდებულო ვადები, ადგილი და ფორმა; შესასყიდი საქონლის სახეობა, რაოდენობა, ხარისხი, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების სახეობა, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომელთა მითითებას შემსყიდველი ორგანიზაცია საჭიროდ მიიჩნევს შესყიდვის ობიექტის აღწერის მიზნით;“;

ბ) მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) სერტიფიკატს სატენდერო წინადადების ფასის დამოუკიდებლად დადგენის შესახებ, რომლის ფორმა და შევსების წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“.

9. მე-14 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

ბ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) სერტიფიკატს სატენდერო წინადადების ფასის დამოუკიდებლად დადგენის შესახებ, რომლის ფორმა და შევსების წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“.

10. მე-15 მუხლის:

ა) მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კონვერტების გახსნის შემდეგ უნდა განხორციელდეს შერჩევა, რომლის მიზანია წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების, სატენდერო წინადადებებისა და თანმხლები დოკუმენტების სატენდერო დოკუმენტაციისა და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, სატენდერო წინადადება ან/და თანმხლები დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებების გათვალისწინებით.

4. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადებების თანმხლები დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად ან/და შეიცავს უზუსტობებს. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრეტენდენტს დოკუმენტაციის დაზუსტების ან სრულად წარმოდგენის მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდა დაზუსტება ან დოკუმენტაციის სრულად წარდგენა, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მექანიკური შეცდომების არსებობისას სატენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტს დაზუსტების მოთხოვნით, ან სატენდერო კომისიას შეუძლია თვითონ შეასწოროს მექანიკური შეცდომა.“;

ბ) მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნას.

11. მე-16 მუხლის:

ა) 1¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1¹ ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებული მაჩვენებლის ან/და ეროვნული ვალუტის ოფიციალურ გაცვლითი კურსის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტული ოდენობით ცვლილების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელშეკრულების პირობებში.“;

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნას.

12. 16¹ მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის 12¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებული მარკეტინგის ან/და ეროვნული ვალუტის ოფიციალურ გაცვლითი კურსის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტული ოდენობით ცვლილების შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელშეკრულების პირობებში.“.

13. 18¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18¹ ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობისას მოლაპარაკების გამართვის დაუშვებლობა

სატენდერო კომისიას უფლება არა აქვს, გამართოს მოლაპარაკება ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებთან და პრეტენდენტებთან.“.

14. მე-20 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პირველადი სატენდერო წინადადების განხილვის შედეგად სატენდერო კომისია ადგენს სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტს და გადასცემს მას პრეტენდენტს.“.

ბ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნას.

15. 20¹ მუხლი ამოღებულ იქნას.

16. 21-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით, ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით, გარდა:

ა) უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებების, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისა.

ბ) ინტერნეტის საშუალებით გამოწერის გზით ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვისა.

გ) წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვისა;

დ) საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისა.“;

ბ) 1¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1¹ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით, ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით გარდა:

ა) უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებების, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული შესყიდვების შემთხვევებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

- ბ) ინტერნეტის საშუალებით გამოწერის გზით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისა;
- გ) წარმომადგენლობით ხარჯვებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვისა;
- დ) საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისა.“;

გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹, 5² და 5³ 5⁴ პუნქტები:

„5¹. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდის საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ჯამური ღირებულება არაუმეტეს 10%-ისა იმ ჯამური ღირებულების, რომელზეც გაფორმდა ეს ხელშეკრულება.

5². ტენდერის შედეგად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებელი პირის ჩანაცვლება, თუ ეს პირი დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციას გათვალისწინებული აქვს შესაბამისი ტენდერის შესახებ განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით.

5³. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულება იდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5⁴. ამ მუხლის 1¹ პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულება იდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.“;

დ) 5³ პუნქტი ამოღებულ იქნას.“.

17. 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ფასთა კოტირების საშუალებით განხორციელებული შესყიდვისას – ყოველკვარტალურად, არა უგვიანეს მომდევნო კვარტალის პირველი თვის 30 რიცხვისა;“.

ბ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

გ) 3¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3¹. შემსყიდველი ორგანიზაციები ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშს წარმოადგენენ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი გამარტივებული წესით, არა უგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა, თუ წლიური გეგმის სავარაუდო ჯამური ღირებულება (საქონელი, მომსახურება, სამუშაო), ცალკეული დაფინანსების წყაროს მიხედვით, 50 000 ლარზე ნაკლებია.“.

18. 24-ე მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„8. 2010 წლის 1 სექტემბრამდე დაწყებული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა უნდა მოხდეს 2010 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი წესის შესაბამისად, ხოლო გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან არსებული წესით.“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-პირველი მუხლის მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 1 სექტემბრიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-5 პუნქტი, მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-14 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-17 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები მოქმედებს 2010 წლის 1 სექტემბრამდე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი